წელიწადი მეორე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.




ფასი 5000 მანეთი.

გაზეთი გამოდის ყოველდღიურათ მასალები მიიღება რედაქც. 9—3 საათ. ყოველ დღე. რედაქ. მისამ.: საპიორ. ქ. № 30. პირველი სართული.

ხუთშაბათი 2 ნოემბერი 1922 წ.

№ 134 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო № 134

# განცხადება

## ჩვენი თანამშრომლების საყურადღებოდ.

„წითელი არმიელის“ რედაქცია ამით აცხადებს, რომ უმარკოთ გამოგზავნილ წერილებს მისადმი

**არ დაიხსნის**

რედაქცია.

## ბუნებაც არ გვწყალობს.

საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელმა მასებმა გადაიტანეს უდიდესი გაჭირვება, რომ სახელმწიფოებრივი ძალაუფლება თავიანთ ხელში შეენარჩუნებიათ. მთელი სამი წელი საშინელ პირობებში აწარმოებდნენ სამოქალაქო ომს შინაურ და გარეშე ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

შემდეგ რუსეთში ჯერ არ ნახული შიმშილობა დაიწყო, რომელმაც მოიხოვა იმდენაც ღარიბ მუშურ (სახელმწიფოს საზღვრებიდან) ყიდვა პურისა და სხვა ღირებულებათა გაღება. გვეგონა ყველა ეს ხელის შემშლელი პირობები თითქმის დავსძლიეთ-ო, რომ ახლა იქ საბჭოთა რესპუბლიკებში გაჩნდა ქირნახულის გამანადგურებელი კალიები, მინდვრის თაგვები და სხ.

ამასაც ბოლოს მოუღო შეერთებულმა ნების ყოფამ საბჭოთა რესპუბლიკებისამ.

საქართველო, ერთხანს თითქოს ხელუხლებელი იყო დამზიანებელ გარეშე პირობებისაგან. მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა.

ჯერ კიდევ შარშან, შემოდგომის ხანგრძლივმა წვიმებმა დასავლეთ საქართველოს ქირნახული საგრძნობლად დააზიანა.

საქართველოს საბჭოთა მთავრობამ სასწრაფოდ მოაწყო დაზარალებულთა დამხმარე კომისია, რომლის ენერგიულმა მუშაობამ მეტად დიდი ნაყოფი გამოიღო.

მიგვონია წლევანდელი კარგი მოსავალი შარშანდელ დაზარალებულ მშრომელ გლეხობას ფეხზე წამოაყენებდა, მაგრამ აქაც მოვსტყუვდით. ბუნებამ არ დაინდო საქართველოს მშრომელი ხალხი და წელს ოქტომბრის მიწურულში მოსულმა კოკისპირულმა წვიმებმა სრულიად გაანადგურა დასავლეთ საქართველო და ნაწილობრივ აღმოსავლეთი.

ქიათურა და მისი რაიონი სრულიად წალეკა მოდიდებულმა ყვირილის მდინარემ. მცხოვრებლები სახლის თავებზე და ხეებზე იყვნენ შეხიზნულნი. მოდიდებული წყალი სახლებში შევიდა, წაიღო შინაური ცხოველები და ფრინველები, წაიღო მთელი დაგროვილი შავი ქვა (მარგანეცი), ქიათურიდან შორაპნამდე რკინის გზის ლიანდაგი სრულიად წალეკა წყალმა. ზარალი აუწერელია. ბევრი დრო გაივლის ვიდრე მაღაროებში მუშაობა განახლდებოდეს და დანგრეული რკინის გზის ლიანდაგი შეკეთდებოდეს.

წყალდიდობამ აგრეთვე აუწერელი ზარალი მიაყენა სამეგრელოს და გურიას. სენაკის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარის წერილის მიხედვით ათამდე სოფელი სრულიად განადგურებულია. ადამიანის მსხვერპლი თითქმის არ არის, რადგან ზათომიდან და ფოთიდან გამოწერილმა მეზღვაურებმა თავიანთი ნავებით დიდი დახმარება გაუწია მცხოვრებლებს. ადგილობრივ აღმასკომმა დიდი მატერიალური დახმარება გაუწია დაზარალებულთ, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში.

საჭიროა ფართო დახმარების გაწევა. ცხადია მარტო საბჭოთა საქართველო ვერ შესძლებს მათ დახმარებას და რკინის გზის ლიანდაგის და გზატკეცილების აღდგნას. ამისთვის აუცილებლათ უნდა დაგვეხმაროს სასწრაფოთ მეზობელი რესპუბლიკები და განსაკუთრებით კი ჩვენი ძმამე საბჭოთა რუსეთი.

საბჭოთა რესპუბლიკები ისეთ ძმურ კავშირში არიან ერთი მეორეში, რომ ასეთ შემთხვევებში ერთი მეორესთან არავითარ ანგარიში არ შეიძლება. ხნეობრივი მოვალეობა საბჭოთა რესპუბლიკების რომ ერთმანეთს დაეხმარონ ყოველმხრივ გაჭირვების დროს. ასეთი დახმარება გაგვიწია შარშან შიმშილობის დროს საბჭოთა რუსეთმა და დარწმუნებული უნდა იყოს ჩვენი მშრომელი ხალხი, რომ დღესაც გაგვიწევს.

სხვისი დახმარების ცდამდის საჭიროა, რომ ადგილობრივათ გამოვიჩინოთ ჩვენი ინიციატივა, რომ დაზარალებულ მცხოვრებლებს სასწრაფოთ დავეხმაროთ.

ჩვენმა წითელმა ჯარმა უნდა გაიღოს თვისი წვლილი რითაც იქნება, პროდუქტებით, თუ პირადი შრომით, დანგრეულ გზების და მეურნეობის აღდგენის საქმეში.

ყველა უნდა ამოძრავდეს სტიქიურ უბედურების შედეგების თავიდან ასაცილებლათ.

## წითელი პრესა

...იტალიის ფაშიზმი მძვინვარებს. მეფემ ...მეთაურს მთავრობის შედგენა მიანდო. ფაქტა გადადგა და სხვა მოღვაწეები არ თანხმდებოდენ არა თუ მთავრობის მეთაურობას, არამედ მთავრობაში შესვლასაც. ინგლისშიაც გაიმარჯვა უკიდურესმა რეაქციონურმა ფრთამ. იქაც მთავრობას კონსერვატორი ბონარ-ლოუ მეთაურობს.

საფრანგეთმა ლოზანის კონფერენციაზე აღარ დანიშნა ინგლისის ინტერესების მოწინააღმდეგე. ევროპაში რეაქციონერები შეხმატკბილებულან.

„ზარია ვოსტოკა“ ეხება თავის მეთაურში შექმნილ მდგომარეობას და ბოლოში დაასკვნის:

„ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შავი დიქტატურა ჩქარა შეიცვლება პროლეტარიატის დიქტატურით. მართალია იტალია გადაიქცა მშრომელთა ინტერესების მტრების უდიდეს ნავთსაყუდელათ და იტალიელი რეაქციონერები იპოვნიან დიდ თანაგრძნობას მთელი ევროპის რეაქციონერებში, მაგრამ პროლეტარიატსაც ახსოვს თავისი მიზანი და ის ერთს წუთსაც არ შეისვენებს რომ გაანადგუროს რეაქციონერების ბუდე.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ კომინტერნის მორიგ ყრილობაზე, რომელიც გაიმართება ამ ახლო მომავალში, ეს საკითხი სწორათ და რადიკალურად გადაჭრება“.

მოსკოვი იტყვის თავის სიტყვას და ევროპის პროლეტარიატიც ისე მოიქცევა, როგორც ამას მისი შტაბი გადასწყვეტს.

სიტყვა კომინტერნს ეკუთვნის.

## დღევანდელი ცნობები

— იტალიის მინისტრთა ახალ-კაბინეტში უმრავლესობას წარმოადგენენ ფაშისტები.

— მუსოლინის განზრახვა აქვს აკრძალოს მუშათა გაფიცვები.

— ტოსკანის ქალაქებში ხდება ფაშისტებსა და რეგულიარული ჯარების შეტაკებები.

— უნგრეთში სასტიკათ სდევნიან კომუნისტებს.

— 29 ოქტ. ანგორაში გაიხსნა რუსეთ-ოსმალეთის სავაჭრო კონფერენცია.

— იაპონიის პრესა დაჟინებით მოითხოვს საბჭოთა რუსეთთან შეთანხმებას.

— სამხრეთ გალიციაში გლეხების აჯანყება სტიქიურ ხასიათს ღებულობს.

## სხვა და სხვა ამბები.

### იტალიაში.

— 30 ოქტ. ფაშისტების ჯგუფმა სცადა „ავანტის“ რედაქციის დაკავება, მაგრამ მათ წინააღმდეგობა გაუწიეს მცველებმა. სროლის დროს მძიმეთ დაჭრილია 16 ჯარისკაცი და 2 ფაშისტი.

— ფაშისტები შეიჭრენ ფლორენციაში და პიზაში, ალყა შემოარტყეს ყველა სახელმწიფოს დაწესებულებებს, გადასჭრეს ტელეგრაფები და ტელეფონის მავთულები. რეგულიარულმა ჯარმა აიძულეს ფაშისტები, დაეტოვებიათ სახელმწიფოს დაწესებულებები. ტოსკანიის ყველა ქალაქებში ადგილი ჰქონდა ანალოგიურ გამოსვლებს.

— რომში ძალაუფლება გადაეცა სამხედრო უწყების ჯგუფს. ქუჩებში დადიან პატრულები და ჯავშნიანი ავტომობილები.

— მუსოლინს განზრახვა აქვს დაიფაროს საზოგადო სარგებლობის წარმოებები „პროფესიონალური და სხვა ორგანიზაციების კაპრიზებიდან“ და აკრძალოს გაფიცვები აღნიშნულ წარმოებებში.

— მუსოლინმა დაიკავა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, გარეშე და შინაგან საქმეთა მინისტრების ადგილი, მინისტრების უმრავლესობას წარმოადგენენ ფაშისტები-ნაციონალისტები.

### საფრანგეთი

— პარიზში დიდ მღელვარებას იწვევს ფრაკიის დაცემა

— „დეილი ტელეგრაფი“ იტყობინება, რომ საფრანგეთის სავაჭრო სამრეწველო პრესსა შიშობს, რომ რუსეთის ბაზარი ხელში არ ჩაიგდოს სხვა სახელმწიფოებმა და მოუწოდებს საფრანგეთის მრეწველებს და ფინანსისტებს გადასდგან ნაბიჯები რუსეთთან ურთიერთობის განახლებისათვის.

### გერმანიაში

— სამუშაო ქირის საკითხში გერმანიის მთავრობის შეურიგებელი პოზიციის, გამო აუცილებ. განხეთქილება რკინის გზელებისა და მთავრობის შორის. რკინის გზელთა კავშირის თავმჯდომარე ღებულობს გერმანიის ყველა კუთხეებიდან დეპეშებს, რომ რკინის გზელები მზად არიან ბრძოლისათვის.

### ავსტრია

— ავსტრიაში დაარსდა ახალი მონარქიული პარტია.

### უნგრეთი

— უნგრეთის ქალაქებში ამას წინათ დააპატიმრეს 150 კაცი კომპარტიის მომხრეობისათვის, დაპატიმრებულთა ნაწილი 80.000 კაცი გაყოფილია ორ ჯგუფად—ხელმძღვანელები და მომხრეები. ხელმძღვანელები გადაცემული იქნებიან საველე სასამართლოზე, მათ მოელის ჩამოხრჩობა.

